სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა.

# ოდიში

1991
შაბათი
8
ივნისი
N 68 (10461)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საკრებულოს პირველი სესია

მიმდინარე წლის 8 ივნისს გაიმართა ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს პირველი სესია. საკრებულოში არჩეული 41 დეპუტატიდან სესიას ესწრებოდა 38.

სესია გახსნა ქ. ზუგდიდის საკრებულოს არჩევნების ცენტრალური კომისიის თავმჯდომარემ ი. ლურწკაიამ.

სესიის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. საკრებულოს სამანდატო კომისიის არჩევა
2. საკრებულოს მდივნის არჩევა;
3. საკრებულოს მდივნის მოადგილის არჩევა;

დეპუტატმა ღია კენჭისყრით აირჩიეს სამანდატო კომისია.

შემდეგ გაიმართა სამანდატო კომისიის სხდომა, სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. ჯგუშია.

სამანდატო კომისიის მოხსენების საფუძველზე სესიამ ცნო საკრებულოს დეპუტატთა უფლებამოსილება.

შემდეგ დეპუტატები გადავიდნენ დღის წესრიგის მთავარ საკითხზე, საკრებულოს მდივნისა და მისი მოადგილის არჩევაზე

დასახელებული კანდიდატებიდან ფარული დახურული კენჭისყრით, ხმების უმრავლესობით ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს მდივნად არჩეულ იქნა ა. გაგნიძე.

კანონის შესაბამისად საკრებულოს მდივანმა დაასახელა კანდიდატურა მოადგილის პოსტზე. მდივნის მოადგილედ საზოგადოებრივ საწყისებზე არჩეულ იქნა ლ. ქირია.

ამით საკრებულოს პირველმა სესიამ მუშაობა დაამთავრა.

## ქართული აგრარული უნივერსიტეტი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შეიცვალა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტატუსი. ეს მრავალპროფილიანი უმაღლესი სასწავლებელი ქართულ აგრარულ უნივერსიტეტად გადაკეთდა, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, შედის საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სისტემაში.

საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ნაპოლეონ ქარქაშაძეს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

—უწინარესად, რა ფაქტორებმა განსაზღვრეს მთავრობის ამგვარი გადაწყვეტილება?

—მოგეხსენებათ, რომ დამოუკიდებელ საქართველოს სჭირდება პროფესიულად მაღალკვალიფიციური, მსოფლიოში მიღებულ სტანდარტების დონეზე მომზადებული კადრები. მაგრამ არავისათვის არ არის საიდუმლო, რომ ჯერჯერობით დაბალია მათი სწავლების დონე. ახლა გვყავს ათასობით სპეციალისტი, მაგრამ მათ შორის პროფესიონალები თითზე ჩამოსათვლელია.

როგორ უნდა გამოვიდეთ შექმნილი მდგომარეობიდან? ამაზე პროფესორ - მასწავლებლებთან, სტუდენტებთან. ერთად დავიწყეთ ფიქრი, შევქმენით სამუშაო ჯგუფები, გულდასმით ავწონ-დავწონეთ რეალური შესაძლებლობანი და გამოვიტანეთ დასკვნა, რომ გვქონდა მნიშვნელოვანი არგუმენტები, საფუძვლები აგრარული უნივერსიტეტის შექმნისათვის.

—ალბათ ზოგიერთს ეს მეცადინეობა პირადი ამბიციების გამოვლინებად მიაჩნდა?

—ზოგჯერ ასეთი საყვედური გაისმოდა. მაგრამ მთავარი საკითხი გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვდა. თუმცა, თავად განსაჯეთ. დღეს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები ამზადებენ, მაგალითად, სწავლულ აგრონომებს, რომლებიც საკმაოდ კარგად ერკვევიან ნიადაგების ტიპებში, სხვადასხვა კულტურების აგროტექნიკაში და ა. შ. მაგრამ ისინი ვერ მართავენ მცენარეებსა და ნიადაგებს, როგორც ცოცხალ ორგანიზმებს, იმიტომ რომ ისინი საფუძვლიანად არ სწავლობენ ფუნდამენტურ მეცნიერებებს— ბიოლოგიას, ფიზიკას, ქიმიას.

საჭირო გახდა მოვამზადოთ არა, უბრალოდ აგრონომები, არამედ : აგრონომ-ბიოლოგი, არა აგროქიმიკოსი—მცენარეთა დამცველი, არამედ უფრო ქიმიკოს-ნიადაგმცოდნე, ბიოლოგ-მცენარეთა დამცველი.

—და მაინც, რა ბაზა იყო უნივერსიტეტად ინსტიტუტის გარდაქმნის საფუძველი?

—დაგვერწმუნეთ, ეს უბრალო თვითმიზანი არ არის. უნივერსიტეტის შექმნა წინა საქმიანობის ლოგიკური განგრძობა გახდა. ჩვენთან მუშაობს 9 აკადემიკოსი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 70 დოქტორი, 250-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი, მოქმედებს ოთხი სპეციალიზებული საბჭო. გვაქვს ორი მძლავრი სასწავლო-საცდელი მეურნეობა, ორი ღვინის და ერთი საკონსერვო ქარხანა.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მთავრობა, სამინისტროები გაგებით შეხვდნენ ჩვენს წინადადებას, მეტად ოპერატიულად. მაგრამ ყურადღებით გააანალიზეს ჩვენი მოსაზრებანი და მიიღეს დადებითი გადაწყვეტილებანი, მხარდაჭერასა და დახმარებას შეგვპირდნენ.

საქინფორმი

ხალხის გულისთქმა

## ყავლი გაუვიდა

წებისმიერ ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება იცხოვროს საკუთარი ინტელექტის, საკუთარი სასიცოცხლო ენერგიის მიხედვით დამოუკიდებლად თავის სახლში. ასეთია საგანთა ლოგიკა, თვით საერთაშორისო სამართლის ნება. მაგრამ ჩვენი მღელვარე ეპოქა უამრავ პარადოქსს გვთავაზობს. ისტორიის არენას დღემდე შემორჩნენ იმპერიული ამბიციებით გონებადაბინდული ვაიპოლიტიკოსები, რომლებიც ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. ავიღოთ ეგრეთ წოდებული საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები. აქ დღემდე თავი მოუყრია ორთოდოქსი კომუნისტების უზარმაზარ არმიას. კონსერვატორთა ეს ბანაკი ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს ძალაუფლება, გავლენიანი სავარძლები. ამ პოლიტიკანებს სხვა არაფერი არ დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ ათასნაირი ხრიკები მოუწყონ ქვეყნის მასშტაბით აზვირთებულ დემოკრატიულ მოძრაობას. მათი მცდელობა სახეზეა: როგორმე შეინარჩუნონ ვითომც და რეფორმირებული, გადასხვაფერებული სუვერენული რესპუბლიკების მთლიანობა, რომლის ფარგლებში ისინი კვლავაც პრივილეგირებულ კასტად იგრძნობენ თავს. ამის თვალნათელი მაგალითია თუნდაც ბოლოდროინდელი შეხვედრები ნოვო-ოგარევოში, სადაც ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ფსევდო ხელშეკრულების პროექტი ცხვება ბატონი მიხეილ გორბაჩოვის ხელმძღვანელობით. სამწუხარო ისაა, რომ ამდაგვარი ველიკოდერჟავული, იმპერიული ცნობიერების ტყვეობაშია დღემდე მილიონობით ადამიანი. ამ განწყობილებით დაგვატკბო ამასწინათ თავის გამოსვლაში რუსეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, გენერალმა მაკაშოვმა სატელევიზიო პროგრამით: „ვინ ვინ არის?“.

არა, ბატონებო! ხელოვნურად კონსტრუირებულ ბორკილების იმპერიას უკვე ყავლი გაუვიდა. ხსნა მხოლოდ ერთ რამეშია: კრემლის ხელისუფალნი დროზე მიხვდნენ ამ ჭეშმარიტებას.

ზ. ადონია,
ჩვენი კორ.

## ეს რანაირი ლოგიკაა

მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ ცხელ რეგიონად საბჭოთა კავშირი იქცა. აქ მიმდინარე უმწვავეს მოვლენებზე ცალსახა საუბარი ძნელია. ათეული წლების მანძილზე იმდენი პრობლემები დაგროვდა, რომ გონებას უჭირს ჩიხიდან გამოსვლის გზების ალქმა. თუმცა ამ ავტორიტარული სახელმწიფოს ლიდერებს „გამოძებნილი“ აქვთ თავისებური რეცეპტები, რომლითაც ცდილობენ მსოფლიო საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ, კრემლიდან ცივილიზებულ სამყაროს მოედო მორიგი მუქარა გამანადგურებელი დიქტატურის შესახებ, რომელიც ვერ აცდება ქვეყანას თავჩენილი უმძაფრესი პრობლემების გადაუწყვეტლობის შემთხვევაში. ამდაგვარი ლოგიკით გამოდის, რომ თვით ზესახელმწიფოებიც კი უნდა ძრწოდნენ გაავებული რუსული იმპერიის შიშით. მე, როგორც ერთ-ერთი რიგით მოქალაქეს, დღემდე ვერ გამიგია ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის პოზიცია. ეს მძლავრი, დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ამჟამინდელ მსოფლიო პოლიტიკაში გარკვეულ ამინდს ქმნის, საბჭოთა იმპერიის დაშლის წინააღმდეგია, ამ მხრივ მისი მოდგომა, სამწუხაროდ, საბჭოთა პარტოკრატიის ერთგული დამცველების თვალსაზრისისაგან არაფრით განსხვავდება. იგი მომხრეა შენარჩუნებულ იქნას სუვერენული რესპუბლიკების კავშირი. საკითხავია, რა აშინებს ამერიკის პრეზიდენტს? ნუთუ ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში ამ ტერიტორიაზე გაჩაღდება ისეთი კონფლიქტები, რომელიც დაემუქრება თვით პლანეტას. ხოლო რესპუბლიკები ერთმანეთს წააყენებენ ტერიტორიულ, ეკონომიკურ და სხვა სახის პრეტენზიებს? თუ რესპუბლიკებში განლაგებული ბირთვული იარაღის ბედი აწუხებს? ამაო წუხილია, ბატონო პრეზიდენტო. პირიქით, თქვენ, როგორც დემოკრატიის მერყეობამ ყოველნაირად უნდა შეუწყოთ ხელი რესპუბლიკათა თვითგამორკვევის კანონზომიერ პროცესს.

ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ სწორად ამას მოიმოქმედებთ. ამას გვავალებთ დღევანდელობა, თვით ისტორიაც.

მ. ნარმანია,
ფილოლოგი.

## მადლიერებას გამოხატავენ

როგორც მრავალჯერ ვიუწყებოდით, ზუგდიდელმა მშრომელებმა, მთელმა მოსახლეობამ გაიზიარა ის გასაჭირი, რაც იმერეთსა და რაჭას დაადგა. არაერთმა სოფელმა აღმოუჩინა დახმარება დაზარალებულებს, ადგილზე ნახა მათი მდგომარეობა.

ამჯერად რედაქციაში გვეწვია სოფელ განმუხურის მკვიდრი, ამბროლაურის რაიონის სამხედრო კომისარი დავით ხუბუტია, რომელმაც სამადლობელი წერილი მოგვიტანა ამბროლაურის რაიონის სოფელ ძირაგეულის ველიძეების უბნის მცხოვრებლებისა და მერაბ კოსტავას ქუჩა 5-ში ყოფილი კომუნალური ბინის მოსახლეობისაგან, რომლებიც მადლიერებას გამოხატავენ განმუხურის საკრებულოსა და მოსახლეობისადმი. მათ განსაცდელში ჩავარდნილებს მიაწოდეს სიმინდის მარაგი, ფულადი თანხა სამი ათასი მანეთი.

წერილს ხელს აწერენ გოჩა სუთიძე, ჯემალ ველიძე, ლენა ჯაფარიძე, ჟენია ნიკოლაშვილი, ბერდია ოშხერელი, ნუგზარ ლომინაძე და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სოფლის სრულყოფისათვის

მიწის სიყვარული უხსოვარი დროიდან მისდგამს კოლხ კაცს. არადა, იყო დრო ჩვენს ქვეყანაში გატარებულმა ყოვლად გაუმართლებელმა აგრარულმა პოლიტიკამ, ყოვლად დაუსაბუთებელმა რეფორმებმა დააძაბუნა, ყოველგვარი პერსპექტივა მოუსპო სოფელს. ქვეყნის მარჩენალი გლეხი მოწყდა მიწას და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ბევრი სოფელი გაუკაცრიელდა. ბევრმა ქალაქს შეაფარა თავი და ქვეყნის მარჩენალი სხვისი სარჩენი გახდა.

დღეს ყველა ჩვენგანი თვალნათლივ ხედავს ქართული სოფლის გარდაქმნის აუცილებლობას. დღემდე მოქმედი საწარმოო სტრუქტურები ვეღარ ფუნქციონირებენ ისეთი ეფექტურობით, რომ დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს უპასუხონ. ისიც ცხადი ხდება, რომ კოლმეურნეობები, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფორმა, ასეთი სახით ვერ შემორჩებიან ცხოვრებას.

სწორედ ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიების აუცილებლობამ მიიყვანა ახალაბასთუმნის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა იმ დასკვნამდე, რომ ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა საკოლმეურნეო სტრუქტურების გადასინჯვის საკითხი. კოლმეურნეობის გამგეობამ აქტივთან ერთად განიხილა მეტად საინტერესო და პრობლემური საკითხი: კოლმეურნეობის ბაზაზე ახალი ფორმის გლეხთა კავშირის ჩამოყალიბების შესახებ, რომლის საქმიანობა დაემყარება მასში გაერთიანებულ სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავისუფალ, ნებაყოფლობით შრომას, წარმოების ძირითადი საშუალებების 70 პროცენტამდე კერძო საკუთრებაში მფლობელობას და სახელმწიფო ბიუჯეტთან მოქნილ, ეფექტურ ურთიერთობას.

—ამ დასკვნამდე კოლმეურნეობის გამგეობა უცბად არ მისულა, —ამბობს ახალაბასთუმნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, საკრებულოს გამგებელი ვასო ფარცვანია:—ქალაქის მიმდებარე ჩვენს სოფელზე ვერ იტყვი პატარაა. აქ 648 კომლი ცხოვრობს და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასავითარებლად საკმარისი შესაძლებლობები გვაქვს.

დღეს, საბოლოოდ უარი ეთქვა ათასგვარი ინსტრუქციებისა და ვალდებულებების გლეხობაზე თავის მოხვევის პოლიტიკას, ფართო გასაქანი მიეცა მუშაობის იჯარულ ფორმებს, გლეხთა ინიციატივას, მიწაზე გლეხის სურვილისამებრ მუშაობას, რომლის რეალური შედეგებიც სახეზეა.

გლეხობამ თანდათან ირწმუნა მუშაობის ახალი ფორმის—იჯარის სიკეთე და ყოველნაირად დაინტერესდა მისი შემდგომი სრულყოფით, ფართოდ იქნა გამოყენებული შიგასამეურნეო და სრული სამეურნეო ანგარიში. ყადრი დაედო შრომის ფასსა და ბარაქას. გლეხობის ფულადი თუ ნატურალური ანაზღაურება მთლიანადაა დაკავშირებული საბოლოო შედეგებთან. ამან ხელი შეუწყო არა მარტო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას და შრომისნაყოფიერების ამაღლებას, არამედ საგრძნობლად შემცირდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაც. ამჟამად კოლმეურნეობაში არ არსებობს არც ერთი რგოლი, სადაც მუშაობის იჯარული ფორმა ან მისი ელემენტები არ იყოს გამოყენებული. ფართოდ ინერგება თავისუფალი იჯარა, რომელიც შეიძლება ითქვას უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე იჯარის მანამდე მოქმედი ფორმები.

იჯარული პრინციპით მუშაობს მემცენარეობის შვიდივე ბრიგადა, მეცხოველეობის ძირითადი და მიკრო-ფაბრიკები, მესიმინდეები, მეჩაიეები...

ბოლო ხუთ წელს კოლმეურნეობაში რენტაბელობის დონემ 10 პროცენტიდან 84 პროცენტამდე აიწია. წარმატებით დაიწყო მიმდინარე წელიც. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პროგნოზული ყველა მაჩვენებელი სრულდება. უკვე მოკრეფილია 200 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, დროულად დაითესა ერთწლიანი კულტურები. იწყებენ სენაჟის დამზადებას და ყველა ამ სიკეთეს ახალაბასთუმნელები იჯარის სიკეთეს მიაწერენ.

მიუხედავად იმისა, რომ არის გარკვეული წარმატებები, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ დასახვეწია. კიდევ უფრო ფართო გასაქანი უნდა მიეცეს კერძო საკუთრებასა და თავისუფალ იჯარას.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ კიდევ ერთხელ, გარკვეული პერიოდისათვის უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა იჯარის ცხოვრებაში უფრო დახვეწილად გამოყენების აუცილებლობა. სოფელიც მომხრეა მუშაობის ამ ფორმისა, რამეთუ სანარდო იჯარა ეს ის ფორმაა, რომელიც შეიძლება დღეს გლეხს უფრო მეტად გამოადგეს, ვიდრე სხვა პროცესებზე გადასვლა.

და მაინც კოლმეურნეობის გამგეობას მიაჩნია, რომ საბოლოოდ, გლეხთა კავშირის სახით, სოფლად უფრო მოქნილ ურთიერთობათა ჩამოყალიბება და კერძო საკუთრების დაშვება საბოლოოდ სრულყოფს ქართული სოფლის დღევანდელ სახეს. მითუმეტეს, რომ საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბება და წარმოების წესი ამ პირობებში მჭიდროდაა დაკავშირებული კერძო საკუთრებასთან, ადამიანთა თავისუფალ საქმიანობასთან.

ზ. აბულაძე.

# ის ურჩევნია მამულსა...

ს[illegible]ო ოჯახი აქვთ დიდინეძელ ნოე და ლამარა ხაინდრავებს. მათ სამი ვაჟკაცი აღუზარდეს სამშობლოს. სამივემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უფროსი—თამაზი ეკონომისტია. შუათანამ—მურმანმა თსუ-ს დამთავრების შემდეგ დუბნოს ბირთვული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია, ხოლო უმცროსმა საბუღალტრო აღრიცხვის ფაკულტეტი დაასრულა. ბესიკიც სამეცნიერო მუშაობას ეწევა და გვჯერა, რომ ისიც უმოკლეს ხანში მოიპოვებს სამეცნიერო ხარისხს.

გვიამაყება დიდინეძელებს სასახელო თანასოფლელები: ნოე და ლამარა ხაინდრავების ვაჟიშვილები და ვუსურვებთ მათ შემდგომ წარმატებებს.

ი. ქუკავა,

პენსიონერი მასწავლებელი.

# სასარგებლო ნაშრომი

ამ დღეებში გასაყიდად გამოვიდა აბესალომ ტუღუშის ნაშრომი „ანაკლიის ისტორია".

სანამ ნაშრომის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, რამდენიმე სიტყვას ავტორზე მოვახსენებთ მკითხველს. იგი დღეისათვის 40-ზე მეტი მეცნიერული წერილისა და გამოკვლევის ავტორია, რომელიც ქვეყნდებოდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში და რეგიონალურ პრესაში. ა. ტუღუშმა ინტერესი საქართველოს ისტორიის საკითხებზე ძალიან ადრე, სკოლის მერხიდან გამოავლინა.

საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე იყო, როცა მე ის გამაცნო ერთმა ჩემმა მეგობარმა. ფაღრესად კმაყოფილი დავრჩი მოსწავლის ცოდნით საქართველოს ისტორიაში.

საშუალო სკოლის დამამთავრებელ წელს, 16 წლის ახალგაზრდა, მე წარვუდგინე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეს პროფესორ შოთა მესხიას თავისი ნაშრომით „ინდოეთ საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან", რომელიც ერთ ხანობით რვეულს მოიცავდა.

შოთა მესხიას მოეწონა მისი ნ მუშევარი და მოხოვა ყურადღება მიმექცია ნიჭიერი ყმაწვილისათვის. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი რამდენჯერმე იყო შ. მესხიასთან.

ა. ტუღუშს ეკონომიკური და ოჯახური მდგომარეობა ხელს არ უწყობდა და ამიტომ სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი მან დაუსწრებლად დაამთავრა, ასევე წარმატებით ჩააბარა მან ასპირანტურის კურსი. ახლა ნაშრომი მზადა აქვს ისტორიის მეცნიერებათა საკანდიდატო ხარისხის დასაცავად.

ა. ტუღუში — ეუფლება უცხო ენებსაც, მან კარგად იცის უნგრული ენა. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური, რომელსაც იგი 70-იანი წლების დასაწყისში უნგრეთში იხდიდა გამოიყენა ამ ქვეყნის ენის დასაუფლებლად, ამით იქაურ გამოჩენილ მოღვაწეებსაც დაუახლოვდა (ლაიოშ ტარდი და სხვ.). ყოველივე ამას მე მისი წერილებიდან ვგებულობდი.

ამავე წერილებში აბესალომ ტუღუში უკმაყოფილებას გამოთქვამდა უნგრეთში განლაგებული საბჭოთა არმიის ფუნქციების შესახებ. როგორც ჩანს, ეროვნულ მოძრაობაში მის ცნობილ პოზიციას მყარი ფესვები აქვს.

აბესალომ ტუღუში ისტორიული წყაროების მიგნების და მათი მეცნიერული გაანალიზების შესაშური ნიჭითაა დაჯილდოებული, ეს ეხება მის „ანაკლიის ისტორიასაც".

ანაკლიის ისტორიის სრულყოფილად გაშუქებისათვის მასალები ნაკლებია. რაც არის ნაშრომის ავტორს გულმოდგინედ მოუძიებია (იხილეთ ნაშრომზე დართული წყაროთა და ნაშრომთა დასახელება) და სათანადოდ გამოუყენებია. შესწავლილი აქვს ქართული, რუსული და უცხოური წერილობითი წყაროები.

ანაკლიის ნავსაყუდლის შესახებ წერილობით ცნობებს ძირითადად მე-17 საუკუნის დასაწყისიდან ვპოულობთ უცხო მოგზაურთა, მისიონერთა და შემდეგ რუს სამხედრო მოხელეთა ჩანაწერებში, იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს მოღვაწეთა წერილობით და კარტოგრაფიულ მასალებში.

როგორც ირკვევა ანაკლია და მისი შემოგარენი ძველი დროიდანვე ყოფილა მჭიდროდ დასახლებული. აქ 4-5 ათასი წლის წინანდელი ნამოსახლარია აღმოჩენილი, რომელიც დასტურდება იმ არქეოლოგიური გათხრებით, რომელიც აწარმოეს ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა ა. ჭანტურიამ და ბოლო დროს პროფესორებმა დ. მუსხელიშვილმა და ლ. მიქელაძემ. აღნიშნულ გათხრებში მონაწილეობდა თვითონ აბესალომ ტუღუშიც.

ეს წყაროები, როგორც წერილობითი, ისე არქეოლოგიური „ანაკლიის ისტორიაში" კვალიფიციურად არის განხილული. ა. ტუღუში არქეოლოგიაში კარგად დასპეციალისტდა, ასევე კარგად დაეუფლა ნუმიზმატიკური, ეპიგრაფიკული - ეთნოგრაფიული მასალების გაშიფვრას, მას ხელს უწყობს ძველი ქართული დამწერლობის ცოდნა, ძლიერია ტოპონიმიკურ კვლევა-ძიებაშიც.

„ანაკლიის ისტორიაში" მისი ავტორი საკმაოდ დაწვრილებით მიმოიხილავს ამ ნავსადგურის არაერთხელ ოკუპაციის თურქი დამპყრობლების მიერ და მის გათავისუფლებას.

ჩვენ ვიზიარებთ ავტორის მოსაზრებას, რომ ანაკლიის სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს გაყიდული ტყვე ქართველების აქედან გაყვანის გულშემზარავ სურათებს, რასაც აღწერენ უცხოელი მისიონერები (ლამბერტი, შარდენი და სხვები).

ანაკლიის ნავსადგურის მეშვეობით საქონლის გატანა-შემოტანის მაჩვენებლების გადმოცემა, რომელიც მე-19 საუკუნეს ეხება, მკითხველს შეუქმნის წარმოდგენას ამ ნავსადგურის მნიშვნელობაზე მის მიმდებარე რეგიონებისათვის.

აბესალომ ტუღუშის ნაშრომი ანაკლიის შესახებ ნამდვილად გაუწევს საჭირო დახმარებას მისი ისტორიით დაინტერესებულ პირებს და ხელს შეუწყობს საქართველოს შავიზღვისპირა ნავსადგურების ისტორიის შესწავლაში არსებული ხარვეზის შევსებას.

მამანტი პაპაკორია,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სტრიქონები წერილებიდან

# ხმა ავიმაღლოთ!

მიცვალებულის პატივისცემისა და ჭირისუფლისადმი თანადგომის საკმაოდ მდიდარი ტრადიციები გვაქვს ქართველებს.

რა ხდება დღეს? უაზროდ გაჭიმული პანაშვიდები, ხალხმრავალი ქელეხები... დილიდანვე სუფრის გაწყობის თადარიგია. არ წყდება მოსამძიმრეთა ნაკადი. მომსვლელს პატივისცემა და ხაკადრისად დახვედრა უნდა. ბაზარში კი პროდუქტი ცეცხლის ფასადაა. არავის აზრად არ მოსდის, რა დღეშია ჭირისუფალი. მნიშვნელობა არა აქვს რა დროს მივალთ მოსამძიმრებლად. საინტერესოა, მაშ, რატომ ვუთითებთ სამგლოვიარო განცხადებაში პანაშვიდის დღეებს, დროს. ვფიქრობ, დაკრძალვაზე მისასვლელად არც განსაკუთრებული პატიჟია საჭირო. ბოლოს და ბოლოს გამოქვეყნებულ სამგლოვიარო განცხადებაში დაკრძალვის დღეც ხომ აღნიშნულია.

ჩვენმა წინაპრებმა მიცვალებულის მოკრძალებული პატივისცემა იცოდნენ. ნაცად წეს-ჩვეულებებს ნუ დავივიწყებთ. ჭირის სუფრას თავისი კანონები აქვს.

დიდხ დაუფიქრებიათ? ალბათ. შეძენილ მანკიერებათა წინააღმდეგ ჩვენვე უნდა ავიმაღლოთ ხმა.

გ. ალშიბაია,

შრომის ვეტერანი.

სადღეისო, საზრუნავი და კოლექტივის პოზიცია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ზუგდიდის ფილიალის შრომისმოყვარე კოლექტივი ჩვეული გულმოდგინებითა და პროფესიონალიზმით უძღვება მის წინაშე მდგარ სადღეისო ამოცანებს. ამჟამად შექმნილი დაძაბული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აქაურ მუშა-მოსამსახურეებს ერთი წუთითაც არ აძლევს ყურადღების მოდუნების უფლებას. ბაღის კოლექტივის ახლანდელ საზრუნავზე და სამომავლო პერსპექტივებზე გვესაუბრება მისი დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი უსლარ ლატარია.

# კოლხთა შთამომავალთ ეს არ გვეკადრება

—რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი კოლექტივი ყოველი წლის დასაწყისში მონიშნავს ხოლმე სამეურნეო სამუშაოების წლიურ მოცულობას. რა მდგომარეობაა ამ მხრივ მიმდინარე ეტაპზე?

—როცა სამეურნეო ღონისძიებებზეა საუბარი, მხედველობის არეში ექცევა ბაღის გარეგანი, მხედველობითი მხარის სრულყოფის საკითხები. აქ მომსვლელი კაცი პირველ რიგში ვიზუალურად ხომ ამ მომენტს აღიქვამს. არ ვაკლებთ ცდას ბაღის კეთილმოწყობისა და ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეს. ამ მხრივ ერთი წუთითაც არ ვაპირებთ შექმნილი გამოცდილების დავიწყებას. წლეულს გარკვეული ინტენსივობით წამოვიწყეთ ყვავილნარების, ახალი გაზონების, გზებისა და ბილიკების განახლება-კეთილმოწყობის სამუშაოები. გამოყვანილია ათეულ ათასობით ერთწლიან და მრავალწლიან მცენარეთა ნერგები. მაგრამ გაოცებას იწვევს რეგიონის საწარმო-დაწესებულებათა მესვეურების გულგრილი დამოკიდებულება საკუთარი ტერიტორიის გამწვანება-კეთილმოწყობის საქმისადმი. მათ ამ მიზნით უზომო სამსახურს გაუწევ- და ჩვენი პროდუქცია.

—რას გვეტყოდით სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სფეროში მიღწეულ შედეგებზე?

—1990 წელს სამივე მეცნიერ-მუშაკმა წარმატებით დაამთავრა ხუთწლიანი ვადით განსაზღვრული სამეცნიერო თემის დამუშავება. ამათგან ორი — ლარისა თირქია და ნათელა გაგუა მალე დაასრულებენ საკანდიდატო თემას. 1991 წლისათვის შემუშავებულია პერსპექტიული სამეცნიერო თემები. შესწავლილი იქნება სამეგრელოს რეგიონში არსებული ბაღ-პარკების მდგომარეობის და სრულყოფის პრობლემა. ლ. თირქიას მიერ შემოტანილია 85 ჯიშის იორდასალამი. გრძელდება პერსპექტიული ჯიშების გამოყოფა და მისი აგროტექნიკური ღონისძიებების დამუშავება.

ჩვენი ბაღის თანამშრომელი მარინა შენგელია აწარმოებს დაკვირვებას ზოგიერთ მრავალწლიან ფოთლოვან მცენარეთა ბიო-ეკოლოგიურ თვისებებზე.

კოლექტივი აგრძელებს მუშაობას სამკურნალო მცენარის —სტოშის მასობრივი კულტივირების პრობლემაზე. ეს მეტად პერსპექტიულ დარგად გვესახება. მაგრამ ვერაფრით ვერ აგვიხსნია სოფლის მეურნეობისა და ფარმაკოლოგიური მრეწველობის მესვეურთა დაუინტერესებლობა აღნიშნული მცენარის მიმართ. ჩვენი რეგიონის ნიადაგობრივ კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა ეს მცენარე მასიურად გავრცელდეს. არის იმის პერსპექტივაც, რომ მავანი დაინტერესდეს სპეციალური მეურნეობის შექმნით.

აღნიშნული თემის დამუშავებაში ჩაბმული არიან გიული დადიანი და დალი რაფავა.

ეს რაც შეეხება ჩვენი საქმიანობის პოზიტიურ მხარეს.

მაგრამ არ მინდა ჩვენი საუბარი ისე დასრულდეს, რომ ყველაზე დიდი სატკივარი უთქმელი დამრჩეს. დასანანია, რომ აღნიშნულ პრობლემას უკვე მერამდენედ ვეხები. ბაღი უდაოდ წარმოადგენს ჩვენი ქალაქის მშვენებას. მაგრამ ვერა და ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ზუგდიდელთა ერთი ნაწილის დამოკიდებულება ამ წალკოტისადმი ნორმალური იყოს. სახეზეა ხე-ბუჩქებისადმი, ყვავილებისადმი, ფრინველებისადმი, შენობა-ნაგებობებისადმი ბარბაროსული მოპყრობის ფაქტები. ცალკეული ვაიმოქალაქეები საოჯახო ნაგვით ავსებულ ქაღალდის ყუთებს პირდაპირ ბაღის ტერიტორიაზე ყრიან. ნუთუ ეს გვეკადრება ამაყი კოლხების შთამომავალთ, რომლებიც თავიანთი კულტურით, პეწიანობით გამოირჩეოდნენ? ნუთუ შეუგნებლობის, უღირსობის ასე უმდაბლეს საფეხურზე უნდა ჩამოვქვეითდეთ. სხვა ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, ასეთი დამოკიდებულებით გარემოს ვაბინძურებთ, მომავალს ვსპობთ, ჩვენივე ბავშვების სიცოცხლეს ვაგდებთ საფრთხეში.

## ცარიელი დაპირება საქმეს ვერ შველის

გაზეთ „მებრძოლის" ორიოდე წლის წინანდელ ნომერში სათაურით „წვრილმანად ნუ მოგეჩვენებათ"—ვწერდით, რომ ჩვენს ქვეყანაში ასობით საინტერესო გაზეთი გამოდის, ცხადია გამოწერილიც გვაქვს უმრავლესი მათგანი. მაგრამ ქალაქში აუცილებელია ერთი საგაზეთო სტენდი, რაც ქალაქის იერ-სახესაც დაამშვენდებოდა-მეთქი. პასუხად ქალაქის კეთილმოწყობის კანტორის მაშინდელი უფროსის ხელმოწერით გამოგზავნილ პუბლიკაციაში იტყობინებოდნენ, რომ სტენდების დასამზადებლად მიცემულია შეკვეთა და ისინი მალე დაიდგმებოდა ხალხის თავშეყრის ადგილებში.

როგორც ხედებით, დაპირება დაპირებად დარჩა.

ნუთუ ასე ძნელია ქალაქის შესაბამისი სამსახურისათვის ამ საშური საქმის მოგვარება?

ბ. ალშიბაია,
შრომის ვეტერანი.

თანადგომა

## დახმარება გრძელდება

სულ უფრო მეტი თანამოძმე უწვდის დახმარების ხელს სტიქიით დაზარალებულებს. ზუგდიდელებიც, რა თქმა უნდა, გაჭირვებულთა გვერდით არიან. კოლექტივებთან, წარმოება-დაწესებულებებთან ერთად ცალკეული მოქალაქეებიც საკუთარი დანაზოგით შეძენილ პროდუქტებს, ტანსაცმელს თუ სხვა საჭირო საქონელს უგზავნიან გაჭირვებაში ჩავარდნილთ. ქ. ზუგდიდში, გაბაშვილის ქუჩაზე მცხოვრებმა კარლო მატუამ საკუთარი ავტომანქანით ჩაიტანა ონში სხვადასხვა სახის პროდუქტები (პური, კონსერვი, შაქრის ფხვნილი, პურის ფქვილი, ზეთი, სიგარეტი), ტანსაცმელი და ერთი ცალი გასაშლელი კარავი.

## კარგად გვემსახურებიან

ავადმყოფობით შეპყრობილ კაცს მცირე ყურადღებაც მალამოდ ეცხება. სწორედ ასეთი ყურადღების ვითარებაში ხვდები, როცა №4 აფთიაქს მიაკითხავ, გამგედან— დ. პაპასქირიდან დაწყებული ტექნიკური პერსონალის ჩათვლით ყველა თავაზიანი და საქმის მოყვარულია.

უნდა აღინიშნოს, რომ აფთიაქი დაქირავებულ შენობაშია მოთავსებული, რითაც სივიწროვეს განიცდიან.

მისასალმებელი იქნება, თუ ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება იზრუნებს მისთვის შესაფერისი შენობის გამონახვისათვის.

ირ. ჯიქია.

# ამრეზილი ვუმზერ მზესუმზირას

(ფელეტონის მაგიერ)

ეპიდემიასავით მოსდებია, მოძალებია ქალაქს... მზესუმზირა; უფრო სწორად, ამ მუდამ მზისკენ მზირალი, ლამაზად ყვავილერილი მცენარის ნაყოფი, რომლის სარგებლობა საყოველთაოდ ცნობილია.

მზესუმზირის მოხალული მარცვლის კბილებით ფცქვნისა და ჩაცმაცუნების საწყისი, ჩემის აზრით არა იმდენად ტრადიციას ან სიღუხჭირეს, არამედ უფრო ხალხის დაბალ კულტურას, ველურ ჩვევებს უკავშირდება.

ეს „დარდის გამნელებელი", „თავშესაქცევი" სატყუარაც ჩრდილოეთიდან გვესტუმრა საქართველოში; გვესტუმრა და ფეხიც მოიკიდა, ომის წლებში მომრავლებულმა ლტოლვილებმა გაავრცელეს ამერ-იმერში.

ბევრ სხვა „სიკეთესთან" ერთად სწორედ იმავე დროიდან შეგვათვისებინეს უფროსმა „ძმებმა" ლუდით სავსე კათხაში ასგრამიანით არყის ჩაძირვის („ლიაგუშკა") და ჩქარა თრობის (მადლობა ღმერთს, უკვე მოდაში აღარაა) იშვიათი ოსტატობა...

მაგრამ სულ სხვაა მზესუმზირით გატაცების მასშტაბი, რაც ამ ბოლო დროს საოცარი გაქანებით იზრდება არა მარტო ზუგდიდში, თვით ჩვენს საამაყო დედაქალაქ თბილისში, სხვა ქალაქებში.

მზესუმზირის შავი ლაქა კიდევ უფრო აფერმკრთალებს, ამუქებს ისედაც უფერულ, უხალისო ცხოვრებას. ეს ლაქა განსაკუთრებით მაგნიტივით იზიდავს მოზარდებს, მათთვის ყველგან — და ყოველთვის მზესუმზირით „ტკბობა" აუცილებელ ნორმად, გართობის ერთგვარ საგნად ქცეულა. ამ დროს ამაო ღაღადისად გაისმის პრესაში კომპეტენტურ ავტორთა შთაგონება-გაფრთხილება: მზესუმზირა ხელს უწყობს ინფექციურ დაავადებათა გავრცელებას... აზიანებს ყელს, სასუნთქ ორგანოებს... და სხვა.

მისი მოხმარების არაესთეტიკური გამოვლინებანი კი ყოველ ნაბიჯზე ისედაც ნათელია. საერთო გაწუკითხაობის ატმოსფეროში მზესუმზირის გამყიდველები თუ ქორ-ვაჭრები ისე გათავხედდნენ, ადრე ამორჩეული განაპირა კუთხეებიდან ქალაქის ცენტრში გადაინაცვლეს. პრეფექტურის შენობის წინ, საგაზეთო ჯიხურის გვერდით, შუაგულ ქალაქში სავსე ტომარასთან არხეინად ჩამომჯდარ კახელ კაცს (ზოგჯერ ქალები ენაცვლებიან) ხშირად გარს ახვევია პატარა და განსხვავებული ასაკის კლიენტები. გარშემო ნაფცქვენი მიმოფანტულა. ასეთივე სურათია კავშირგაბმულობისა და წიგნის მაღაზიის შენობებთან ახლოს, აზარტიან მყიდველებში იმათაც შეამჩნევთ, ვინც მავნე მიდრეკილებისათვის! ბავშვის დატუქსვა, გამოფხიზლება ევალება.

მაგრამ ვინ დატუქსავს, ვინ შეხედავს სალი თვალითა და გონებით ქირივით მოძალებულ სიბინძურეს, როცა მშობელი, უფროსი და-ძმა პატ[illegible]ის გვერდით, მზესუმზირის პაწია პარკით ხელში ხალხით სავსე ქუჩაში აშკარად მიაბიჯებს და ტუჩების უსიამო ცმაცუნით ნაგავს აყრის ისედაც უსუფთაო ქუჩებს.

ახლა გზაზე მიმავალი ძუძგის მფანტველი, თმებგაჩეჩილი, გუგებშეთხუპნილი ქალიშვილი — წარმოიდგინეთ!? ამით ზოგმა ქართველმა ქალმა დახელოვნებულ „სემიჩკაედ" ჩრდილოელ ქერათმიანებსაც გაუსწრო.

მზესუმზირით მოვაჭრეებს პოზიციურად სხვა ხელსაყრელი ადგილებიც ამოურჩევიათ სკოლებთან, თეატრთან, სტადიონთან. კინოთეატრში ფილმების დემონსტრირებისას ხომ რიგ უწესრიგობასთან ერთად მზესუმზირის ისეთი „ზეობაა", მეორედ შესვლა არ მოგინდება.

თეატრში, დღის წარმოდგენების დაწყებამდე მებილეთე-კონტროლიორის მიერ ჩატარებული საგულდაგულო „ჩხრეკის" მიუხედავად მაყურებელთა დარბაზში მაინც აღწევს უჩინრად მცოცავი შავი ლაქა მშობლებისა და პედაგოგების თვალწინ. არაიშვიათია ამ მხრივ შვილთან მშობლის პარტნიორობაც.

ყოველივე აღნიშნულის გამო ადრე ერთ პარტიულ ფუნქციონერს გავუზიარე გულის წუხილი; ვთქვი, იქნებ მემზესუმზირეთა თვითნებური პარპაში როგორმე აღვკვეთოთ მეთქი. ორაზროვნად გაეღიმა, მ[illegible]ი გამომეტყველებიდან ამოვიკითხე: იმდენი პრობლემაა გადასაჭრელი, ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, ეს წვრილმანი ვიღას ახსოვს...

არც ახლა ფიქრობს არავინ ამ „წვრილმანზე". მილიციის მუშაკებსაც, მომრავლებულ დანაშაულობათა ფონზე ამ თემაზე საუბარიც ალბათ სასაცილოდ მოეჩვენებათ.

მოქალაქეები, ინტელიგენტები დუმილით ჩაივლიან ხოლმე ქირქით მოფენილ ტროტუარზე.

ვიცი, მავანი ჩემზეც ქირქილით იტყვის, ქვეყანას უჭირს, ერის ბედი წყდება, ამ თემაზე კალამი როგორ მოაცდინაო..

მე კი მაინც ჯიუტად ჩემს აზრს დავიცავ: არა, ბატონებო! ნუ გგონიათ ეს წვრილმანი იყოს. საზოგადოებრივ, ღირსშესანიშნავ ადგილებში, კულტურის კერებზე, სკოლებში ბავშვები რომ ურცხვად, მოურიდებლად მზესუმზირით „სიამტკბილობენ", ამაში არაეთიკური, უკულტურო ქცევის გარდა სულიერი და ზნეობრივი გადაგვარების აშკარა ნიშნებსაც ვხედავ.

ეს ყველამ უნდა დაინახოს. ასეთ ნიადაგზე აღზრდილი თაობა კი დამოუკიდებელ საქართველოს ვერ ააშენებს. ამასთან, „წვრილმანიდან" აღმოცენებული უზნეობა, ადვილი შესაძლებელია დიდი დანაშაულის წყაროც გახდეს.

[illegible] თავი მოძალებულ სენს? ვფიქრობ, ჯერ საკუთრებული ძალისხმევა არ სჭირდება, რომ ქალაქში მობინადრე მზესუმზირის გამყიდველებს, „კახეთიდან" და სხვა რეგიონებიდან ჩამოსულ დაუპატიჟებელ „სტუმრებს" კატეგორიულად ვუთხრათ, —ის სიავე, რაც უწინ ინტერნაციონალურმა მეგობრობამ ჩამოგვითესა, დღეს თქვენი ხელით ნუ მოღონიერდება, დაუბრუნდით თქვენს მშობლიურ კუთხე-გარემოს. ის დრო და ენერგია, რასაც მტვრიან ქუჩებში საათობით ჯდომით კაპიკ-კაპიკ ფულის შოვნას ახმართ, ვაზის მოვლა-პატრონობასა და ერის მომავლისათვის, პირადი კეთილდღეობისათვის სხვა უფრო საპატიო საქმეს შეალიეთ. და თუ მზესუმზირის მოყვანას ვერ შეელევით, კეთილი ინებეთ, მაჰყიდეთ სახელმწიფოს ახალ, გადიდებულ ფასებში. ამით ყველასათვის საჭირო ზეთის, ტკბილეულის და სხვა პროდუქტების სიუხვის წყაროსაც წაეშველებით.

არა, იქნებ ბევრს მართლაც თა[illegible] უყვარს [illegible] შავი ნაყოფით პირის ჩატკბარუნება? მე კი [illegible] ბოლომამრეული [illegible] მზესუმზირას, მის უკუმოქცევ უკუნ ნაკვალევს და თვალწინ მიდგას მარად მზისკენ მიდრეკილი იშვიათი მცენარის [illegible], ნაყოფით მოჭედილი დისკო, რომელიც ბუნებას მხოლოდ სიკეთისაკენ, სინათლისაკენ, სიმაღლისაკენ სწრაფვის სიმბოლოდ გაუჩენია.

ანზორ ბარამია.

# ძვირფასო ზუგდიდელებო!

პატარა სიმონ ავთოს ძე პეტრიდისს, რომელიც მხოლოდ ოთხი წლისაა და იტანჯება მძიმე ავადმყოფობით — ზურგის ტვინის ატროფიით, საბჭოთა ექიმებმა ვერაფერი უშველეს. ბიჭუნა გასინჯეს უცხოელმა სპეციალისტებმა და სამკურნალოდ მიიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იმისათვის, რომ ავადმყოფი დროულად იქნას წაყვანილი ამერიკაში, საჭიროა დოლარები, რისი გადახდის საშუალებაც ოჯახს არ გააჩნია. ძვირფასო ზუგდიდელებო! ამ საყოველთაო გაჭირვების ჟამს იქნებ ერთხელ კიდევ გამოიჩინოთ ჩვეული გულმოწყალება და უშველოთ ჩვენს პატარა თანამემამულეს, რომლის ჯანმრთელობის შემდგომი ბედი ჩვენს ქველმოქმედებაზეა დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ სიმონ პეტრიდისის სახელზე ზუგდიდის აგროსამრეწველო ბანკში გახსნილია ანგარიში, რომლის ნომერია 70034.

■ ■ ■

დღეისათვის „აგრომრეწვბანკის“ ზუგდიდის განყოფილებაში სიმონ პეტრიდისის (ანგარიშის №70034) და კობა ყურაშვილის (ანგარიშის №70035) სახელზე „საქვაჭრობის“ პროფკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა გადარიცხა 2000 მანეთი (თითოეულზე—1000 მანეთი), ხოლო კომიტეტის თავმჯდომარემ დოდო ქარდავამ ერთი თვის ხელფასი 400 მანეთი შემატა ავადმყოფთა დახმარების ფონდს.

## გასწორება

ჩვენი გაზეთის 6 ივნისის ნომერში, მეოთხე გვერდზე, წერილში „ნუ ჩაუქრობთ იმედს“, ბოლო აბზაცის ბოლო სამი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „კობა ყურაშვილის სახელზე აგრომრეწვბანკში გახსნილია ანგარიში №70035“.

## იყიდება

აგარაკი ხობის რაიონის სოფელ ყულევში, ხობისწყლის პირას, ზღვასთან ახლოს, ოთხი თვალის ხის სახლი ეზოთი, ციტრუსების ბაღით, საწიწილეთი, დამხმარე ნაგებობებით.
ცნობებისათვის მოგვმართეთ: წყალტუბო, კლდიაშვილის №7. ტელეფონი: 2-25-06.

---

პატარა ზურიკო ჯუმბერის ძე ჯაბუას დაბადების დღეს ულოცავს დეიდა დარეჯანი და უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სახელოვან მამულიშვილობას.

---

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა, კავშირის ინვალიდთა ასოციაციის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაცია, ფულადი და სხვა სახის იმპორტული საქონლით დახმარების გაწევის მიზნით აღრიცხვაზე იწვევს ზუგდიდის რეგიონში მცხოვრებ 1-2-3 ჯგუფის ინვალიდებს.
მისამართი: ქ. ზუგდიდი, გორკის ქ. 28, ტელეფონი 2-67-97. მიღება ყოველდღე 9 საათიდან 18 საათამდე. გამოსასვლელი დღე შაბათი და კვირა.
ინვალიდთა ასოციაციის ადმინისტრაცია.

---

ფეხბურთი

## დამაჯერებელი ანგარიშით

### „ოდიში“ ზუგდიდი — „ალაზანი“ გურჯაანი
### 3 : 1

თამაში ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო ნელი ტემპით და 1-ლმა ნახევარმა ისე ჩაიარა, რომ დასამახსოვრებელი მხოლოდ ერთი ეპიზოდი იყო, მეხუთე წუთი, როცა ბიგვავამ „გამიზნულად“ დაარტყა და მორეულ „ცხრიანში“ ბურთი ოდნავ ასცდა კარს. ამის შემდეგ თამაშის ტემპმა თანდათან იმატა, 30-ე წუთზე კვიტატიანის ყუმბარისებური დარტყმა საჯარიმოს მისადგომებიდან იხსნა ძელმა. ორიოდე წუთის შემდეგ მასპინძლებმა გაიტანეს გოლი: თევზაძემ მარჯვენა ფრთიდან ჩამოაწოდა კუთხური და ყიზილაშვილმა მაღალ ნახტომში თავურით გახსნა ანგარიში —1:0. 34-ე წუთზე 25-26 მეტრიდან თევზაძის უძლიერესი დარტყმა და ბურთი ოდნავ ცდება ზედა ძელს. ტაიმის მიწურულს ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა ბიგვავა, მაგრამ ბურთი ამჯერადაც ასცდა მიზანს. მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბიგვავას ისევ მიეცა ანგარიშის გახსნის საშუალება, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა „ალაზნელთა“ მეკარე ჭუნიაშვილი (უნდა შევნიშნოთ, რომ არა მისი კარგი თამაში, ანგარიში გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა). მასპინძელთა გუნდში გამოირჩეოდნენ ყიზილაშვილი (მიუხედავად მცირე ტრავმისა), ბიგვავა, რომელიც თანდათან უახლოვდება მისთვის ჩვეულ სპორტულ ფორმას და მარჯვენა მცველი კვიტატიანი, რომელიც ამჟღავნებს ბრწყინვალე სპორტულ მონაცემებს. სწორედ მისი ოსტატური დარტყმის წყალობით ანგარიში გახდა 2:0. 65-ე წუთზე კი ბიგვავამ შეძლო „თავისი“ გოლის გატანა.

ამის შემდეგ სტუმრები ცოტათი გააქტიურდნენ. 71-ე წუთზე ბაწაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა —3:1. მასპინძლებს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, ბევრს უტევდნენ, რეალური შესაძლებლობაც ჰქონდათ 73-ე წუთზე გოგოხიას და 76-ე წუთზე ბიგვავას, მაგრამ საბოლოო ანგარიში 3:1 არ შეცვლილა.

აღსანიშნავია თამაშის არბიტრთა კვალიფიციური მსაჯობა.

რ. ბაბისონია,
ჩვენი კორ.

---

ძნელია წერო კოლეგაზე, მეგობარზე, წარსულ დროში, თანაც ისეთი სიცოცხლით აღსავსე პიროვნებაზე, როგორიც ჯილდა თოფურია იყო. არ გვინდა შენთვის ნათქვამ უკანასკნელ სიტყვას ნეკროლოგი ერქვას. ენით უთქმელია, რასაც განვიცდით შენი მეგობრები. უკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი თავი. როგორი დაუნდობელი ყოფილა ბედისწერა.

5 აპრილს 56 წლის გახდი. ყველას თვალწინ გვიდგახარ — კეთილი ღიმილით სახეგანათებული. მუდამ მართალი იყავი, უშუალო. ღიმილით ხვდებოდი ყოველ განსაცდელს.

საუნივერსიტეტო განათლება გქონდა მიღებული და წლების განმავლობაში მუშაობდი მასწავლებლად ქ. ზუგდიდის №12 საშუალო სკოლაში. ყველას გვიყვარდი და ამიტომაცაა ძნელი დასაჯერებელი შენი ამ ქვეყნიდან წასვლა. შეწყდა ლამაზი სიცოცხლე. შეწყდა ქართული ოჯახის დედაბოძის სიცოცხლე. წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, კარგი პედაგოგი, გულისხმიერი დედა და მზრუნველი ბებია, ვისი ხსოვნაც დაუვიწყარი იქნება კოლეგების, აღზრდილებისა და ახლობლების გულში.

ძალზე გვიჭირს შენთან განშორება. არასოდეს დაგვავიწყდები, მუდამ გვეყვარები, მოგვენატრები. შენს ხსოვნას ერთი სახელი შეიძლება უწოდო — მონატრება.

ამხანაგების ჯგუფი.

## გ. ჯ. სვანიძე

გარდაიცვალა შრომის ვეტერანი, ანაკლიის მეურნეობის მუშა ხელოსანი, საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი, გოგო ჯურგუს ძე სვანიძე.

იგი დაიბადა 1929 წელს ანაკლიაში. დაამთავრა საშუალო სკოლა, დაეუფლა ხელოსნის პროფესიას და მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ამ კეთილ საქმეს.

მრავალი ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება მზად იყო დახმარებოდა ყველას, ამიტომ უყვარდა იგი სოფელს.

წავიდა ჩვენგან უბრალო პროფესიის შესანიშნავი წარმომადგენელი, საუკეთესო მეოჯახე და მამა, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს შემორჩებათ თანასოფლელებს.

ამხანაგების ჯგუფი.

---

მეუღლე ლულია, შვილები: გული, თინა, ჯუმბერი, ჯინერი, რევაზი, რძლები: ვენერა, ციალა, მთვარისა, ლალი, გოგუცა, ნელი, ნაზო, სიძე შალიკო მახარაძე, ძმისშვილები: ფაფა, ჟორა პერტაიები, დისშვილები: გრიშა, ვანიჩკა, პალიკო, ლამარა, ციალა, თინა, ნუნუ, კუკური, მულები ოლია და ვენერა შონიები, შვილიშვილები: მარინა, ემზარი, მერაბი, ცინარა, ჟანა, ომარი, რომანი, ლევანი, ლაშა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**აკაკი ანდრის ძე პერტაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ივნისს, დასაფლავება 11 ივნისს. გამოსვენება მზიურიდან (გალის რაიონი) 2 საათზე. დაკრძალვა სოფ. განმუხურში.

---

შვილები: გრიში, როლანდი, ჯუმბერი, ეთერი, დები: თინა, ქეთო, გული, ძმები: ჰიჰიკო, ვაჟიკო, რძლები სონია, ვისი, ცაცი, სიძეები: ხუტა ხუბუა, პალიკო ჰურღულია, გურამ კორკელია, მამუქა ახალაია, შვილიშვილები: მამუკა, ნინო, მალხაზი, ბაჩუკი, გალინა, ძმისშვილები: მარიკა, ჯონი, დისშვილები: მზია, გენური, ირინა, იკა, ახლო ნათესავები იუწყებიან

**გრიშა ანდრის ძე გვილავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 ივნისს. დაკრძალვა 11 ივნისს სოფ. დარჩელში (კიროვი).

---

შვილიშვილები: ნანა, ზურაბი ქორთუები, აზა, რევაზი, ზაური ჩუხუები, რძლები: ნაილი ფანთია, ქენია ბულია, მზია ჩუხუა, დისშვილები: ვალიკო კუკავა, კოჩა ჯიჯელავა, მულიშვილები ლიდია, ხუტა ნარმანიები, გოგუცა, ხალერი ჯოლოგუები, მაზლიშვილი მერი ბულია, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ქსენია დომენტის ასულ სვირავა-ქორთუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 ივნისს. დაკრძალვა 11 ივნისს კოკში.

---

დედა ზაირა, მამა გურიელი, ბებია ნორა, და ეკა, ძმა ზაზა, მამიდები ციალა, მერი, სიძე ბადრი ბულია, დისშვილები: ლაშა, ლანა, დეიდები გურანდა, ლუიზა, ბიძიები: ზაური, ჰამლეტი რატიები, ნოდარ ახალაია, ხუტა ჭანტურია, ვაჟიკო ლოგუა, მირიანე ჩილაჩავა, შუხუში ხარგელია, ბიცოლები ცოცო, ლარისა, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გენადი (ზვიადი) გურიელის ძე ხუფაცარიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ივნისს. დაკრძალვა 11 ივნისს სოფ. ახალკახათში.

---

მეუღლე ციალა, შვილები: რუსუდანი, ზვიადი, შვილიშვილები: ლევანი, ანუკი ძაპტაშვილები, ძმა ალიოშა, ძმისშვილები: ასმათი, ფატიმა, თორნიკე ლომაიები, დისშვილები: ლილი, როზა, ჯამბული ბიგვავები, სიძეები ვალიკო ბიგვავა, ვახტანგ ძაპტაშვილი, ცოლისდები: გოგუცა, ნარგიზა, ბაჩუა, ცოლისძმები: ღუბური, ლუდა კოდუები ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, მზახალი ნაგორი ძაპტაშვილი, ახლო ნათესავები იუწყებიან

**შოთა დომენტის ძე ლომაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 ივნისს. დაკრძალვა 11 ივნისს. ქ. ზუგდიდში. გამოსვენება პუშკინის 35-დან 18 საათზე.

---

მეუღლე ნაზო, შვილები: ვახტანგი, ზურაბი, თამაზი, ძმები: მელენტი, დათუშა, დები: აგრა, ჟიჟინო, ვენია, თინიკო, ვალია, ციალა ლაშხიები, რძლები: მაყვალა როგავა, ნონა ესებუა, ლიანა ჯაპავა, ნონა ბებურია, სიძეები ნოე დადიანი, ნუკიფო სართანია, ჯუმბერ ანთია, ორდენ კვარაცხელია, ჯემალ ქორთუშვილი, მულები: ნელიკო, ნონა ჯოჯუები, შვილიშვილები ხათუნა, ლევანი, ირმა, თამარი ლაშხიები. ძმისშვილები: თემური, დემური, ნუგზარი, ალდონა, რიტა, მაია, მამუკა, მაია, გრამიტო, მაკა ლაშხიები, დისშვილები: ტარიელი, ფუტუნი, სერგო, მურმან დადიანები, მერაბი, მარინა, ეკა, სოსო სართანიები, გიგლა, გონელი, ცისანა, ბექანა ანთიები, როდერიკ, რეზო, რიმა კვარაცხელიები, მანუჩარ ქორთუშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გურიელ ლაუს ძე ლაშხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 ივნისს. დაკრძალვა 11 ივნისს, ს. ჭითაწყარში.

---

დედა მაგლონია, მეუღლე გოგო, შვილები: შირიმი, დილი, შაირო, და ლუიზა, ძმები: კოლია, მეგონა, რძლები: ნატო, ნუნუ, ნუცა, ნაზო, ლენა, სვეტა, ციალა, ნანული, რაია, სიძეები ჯამბულ გაბისონია, ბადრი ხიზანეიშვილი. შვილიშვილები: ხათუნა, ლევანი, იკა, ირაკლი კვაშილავები, სოფიკო, ჯამბულაკ, ესმა გაბისონიები, ცოლისძმები: რეზო, იგორი, პაატა შონიები, ლუდა, ვანიჩკა, დათიკო შენგელიები, დისშვილები მირზა, მანუჩარი, ძმისშვილები ჯუმბერ, მზია, თამარი, გიმზერი, ლუარა, ლიური, ნუგზარ, ჯამბულ, ცეზარ, ბიცოლები: მარო, ლუბა, მზახლები: ნუნუ წურწუმია, ლიანა, მიტუშა, ახაშიძეები, ეთერ, იროდი გაბისონიები, ბიძია ლავრენტი გერეხელია, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**გვაძი (გვანჯი) სანდროს ძე კვაშილავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ივნისს. დაკრძალვა 11 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, მირცხულავას ქ. 4.

---

რედაქტორი
ა. ჭანტურია.

---

შვილები: მარინა, კახა, ემზარი, და კლარა, ძმები: კოტე, კილო, სიძეები: ანზორ ხუფენია, ზური კვაშილავა, შვილიშვილები: ლიკა, ირაკლი იუწყებიან

**გოგო ჯურგუს ძე სვანიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს სოფ. ანაკლიაში.

---

ანაკლიის მეურნეობის კოლექტივი იუწყება შრომის ვეტერანის

**გოგო ჯურგუს ძე სვანიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

დისშვილები: ნანა, რევაზი ტიბუები, სიძე იურა კვარაცხელია შვილებით მედიკო და თამრიკო. კვარაცხელიებით იუწყებიან

**კონწო მელიტონის ძე ექონიას**

გარდაცვალებას.

---

შვილი ინეზა, სიძე გენიკო ფაჟავა, შვილიშვილი გრეტა, მზახლები ნაზო, გერმანე ფაჟავები იუწყებიან

**კონწო მელიტონის ძე ექონიას**

გარდაცვალებას.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-09.

საქართველოს რესპუბლიკი ბეჭდ... ტუვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. №2311